

[Pick the date]

სტუდენტთა ეთიკის კოდექსი



EWU
NI



შესავალი

აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში- უნივერსიტეტი) საქმიანობა ეფუძნება საერთაშორისო და ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს.

უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება რა ზემოთ დეკლარირებულ პრინციპებს და ორგანიზაციის მიზანს - შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც საუნივერსიტეტოს საზოგადოებას გაცნობიერებული ექნება, რომ განათლება წარმოადგენს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას. შესაბამისად უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნისა და ინდივიდუალური ნიშნით თავის დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია მის სტუდენტების უფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზებისათვის ეფექტური სისტემის შექმნა.

უნივერსიტეტი დარწმუნებულია, რომ წინამდებარე სტუდენტთა ეთიკის კოდექსი (შემდგომში -კოდექსი) წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ადგენს სტუდენტებს შორის ეთიკის ზოგად წესებს, მათ შესრულებაზე მონიტორინგისა და დარღვევაზე რეაგირების პროცედურებს. განსაზღვრავს სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ნორმების დაცვის მნიშვნელობას, კოდექსის შინაარსი უზრუნველყოფს სტუდენტთათვის ჯანსაღი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას და მათი უფლებების ეფექტურ დაცვას.

წინამდებარე კოდექსი ეფუძნება გამჭვირვალობის, სამართლიანობის, საჯაროობისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებს და შექმნილია იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტებში ღირსების განცდისა და აკადემიური გარემოსადმი პატივისცემის დამკვიდრებას, ჩართოს სტუდენტები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მუხლი 1. კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების სფერო

1. კოდექსი ეყრდნობა ეროვნულ კანონმდებლობას და უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებულ ეთიკის კოდექსის უნივერსალურ პრინციპებს (აკადემიური თავისუფლება და აკადემიური პატიოსნება, სამართლიანობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, სანდობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა, პირადი განვითარების ხელშეწყობა) და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებს.
2. წინამდებარე კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მქონე ყველა პირზე, მათი უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში, სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობის პერიოდში.
3. კოდექსი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებისა საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ.

მუხლი 2. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება, საჯაროდ თუ კერძოდ გამოთქვას საკუთარი შეხედულება საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის მიმართ და მოსთხოვოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აღნიშნული დასაბუთებული განცხადებაზე რეაგირება.
- ბ) მიიღოს მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ აქტივობებში, მეცნიერულ კვლევაში, ისარგებლოს აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის შესაძლებლობით სასწავლო პროგრამის გარშემო და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან - ინფორმაციის მიღების შესაძლებლობით უნივერსიტეტის საქმიანობის გარშემო.
- გ) მიიღოს მონაწილეობა პროგრამის გარეშე საუნივერსიტეტო აკადემიურ, კულტურულ თუ შემოქმედებითი ხასიათის აქტივობებში

დ)სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით;

ე)ისარგებლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფინანსური შეღავათებისა და სისტემით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით;

ვ)არჩევნების საფუძველზე აირჩიოს წარმომადგენელი ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ)თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად, უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ;

თ)თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ი)აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა და ისარგებლოს თავისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული არჩევითობით, სასწავლო კურსის, არჩევითი მოდულის/კონცენტრაციის, ლექტორისა და სასწავლო ჯგუფის არჩევის კუთხით;

კ)ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს შორის, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით;

ლ)მიიღოს უნივერსიტეტიდან მასზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია

მ)მოითხოვოს და მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ნ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მუშაობის შეფასება;

ო) გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასება ან მასზე დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა და მოითხოვოს უნივერსიტეტისგან შექმნას მისი საჩივრის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვის პროცედურა, სტუდენტის მონაწილეობით;

პ)სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ჟ)განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 3. სტუდენტის ეთიკის პრინციპები და წესები

1.უნივერსიტეტის სტუდენტს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი სტატუსიდან გამომდინარე, მას საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე უფლებებთან ერთად გააჩნია ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

2.უნივერსიტეტის სტუდენტი უნდა იცნობდეს საკუთარ უფლებებს და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ უნივერსიტეტი არის ამ უფლებების დაცვისა და შეუფერხებლად განხორციელების გარანტი.

3.სტუდენტი უნდა აცნობიერებდეს რომ საგანმანათლებლო მომსახურება, ორმხრივი, ურთიერთთანამშრომლობითი, ცოცხალი პროცესია, რომლის რეალიზება ეფექტურად, ხარისხიანად და თანმიმდევრულად, შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის აქტიური ჩართულობით.

4.უნივერსიტეტის სტუდენტი უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, პროფესიული ავტორიტეტის, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, თანამშრომლობითობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის, პროფესიული დამოუკიდებლობის, სანდოობის პრინციპებითა და საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

5. სტუდენტი ხელს უნდა უწყობდეს უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ურთიერთპატივისცემის, კოლეგიალურობისა და აკადემიური ფარგლების დაცვით,

ურთიერთმხარდაჭერის განმტკიცებასა და ამაღლებას.

მუხლი 4. სტუდენტის ქცევის ზოგადი წესები

1. სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და უნივერსიტეტის ნორმებით აღიარებულ პრინციპებს.
2. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ქცევის წესებისა და აკადემიური პატიოსნების ნორმების არცოდნა ან არასწორად გაგება არ ათავისუფლებს სტუდენტს მათი შესრულების ვალდებულებისგან.
3. საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან ურთიერთობისას სტუდენტი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეს და თავაზიანად გამოხატოს საკუთარი მოსაზრება.
4. სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას და ითხოვდეს ანალოგიურ პატივისცემას მის მიერ გამოხატული აზრისა და გამოხატვის ფორმის მიმართ.
5. დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის ნიშნით და სხვ.
6. სტუდენტებთან ურთიერთობისას დამატებით, დაუშვებელია ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის შეზღუდვას ან შეურაცხყოფას აკადემიური მოსწრების ნიშნით.
7. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია შეინარჩუნოს წონასწორობა და არ გააღვივოს კონფლიქტი. იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა ვერ ხერხდება მისი ძალებით, სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას

მუხლი 5. სტუდენტის ქცევის წესები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას

1. სტუდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაიცვას საგანმანათლებლო პროგრამით, და უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებული რეგულაციები.

2. საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის (ლექციები, სემინარები პრაქტიკულები და ა შ) სტუდენტს ევალება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას თავი შეიკავოს პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების გამოხატვისგან, თუ აღნიშნული არ გამომდინარეობს სასწავლო კურსის შინაარსიდან;

ბ) თავი შეიკავოს აუდიტორიაში სტუდენტების, უნივერსიტეტის და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა კრიტიკისგან, შედარებებისა თუ სხვა არაარგუმენტირებული დასკვნების გამოტანისგან;

გ) აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის დროს დაიცვას საქმიანი ურთიერთობისთვის მიღებული ფარგლები;

დ) შეინარჩუნოს აკადემიური იერსახე.

მუხლი 6. აკადემიური კეთილსინდისიერება

1. სტუდენტი უნდა აცნობიერებდეს, რომ სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე განხორციელება წარმოუდგენელია სტუდენტის შესაბამის სწავლის შედეგების მიღწევის ობიექტურად შეფასების მისაღებად მზაობის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ითვებს უფლებას, იყოს სასწავლო და შეფასების პროცესის ობიექტურად ჩატარების პროცედურის გარანტი და გაატაროს შესაბამისი ზომები ობიექტურ შეფასებაზე სტუდენტის არამართლზომიერი ზემოქმედებისგან დასაცავად, ასევე გამოავლინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევაზე.

2. სტუდენტი უნდა აცნობიერებდეს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევისა და პლაგიატიზმის თითოეული შემთხვევა, ასევე აღნიშნულ მოქმედებებზე რეაგირების არარსებობა არის უნივერსიტეტის და მისი საგანმანათლებლო პროცესის, ისევე როგორც სტუდენტის მიღწევის დისკრინინირებისა და გაუფასურების მიზეზი.

3. უნივერსიტეტი ითვებს უფლებამოსილებას, გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, დანერგოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევისა და ამ

დარღვევებზე დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები, ასევე, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს სტუდენტის მიმართ პლაგიატის რეციდივის შემთხვევაში.

4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად მიიჩნევა სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დავალებისა ან საგამოცდო დავალების შესრულებისას:

ა) გადაწერა ან მისი მცდელობა;

ბ) კომუნიკაცია ან მისი დამყარების მცდელობა, როდესაც ლექტორის/დამკვირვებლის მიერ სემინარზე ან საგამოცდო პროცესის დროს ადგილი აქვს კომუნიკაციის აკრძალვას.

გ) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზის საგამოცდო ინტერფეისში არაავტორიზებული შეღწევის მცდელობა;

დ) დამხმარე მასალის/მონუბილობის გამოყენება ან მისი მცდელობა, თუ აღნიშნული არ არის ნებადართული არ არის შესაბამისი სასემინარო/საგამოცდო დავალებით აღწერილობით.

ე) ინდივიდუალურ დავალებაში სხვებისგან დახმარების მიღება ან სხვა სტუდენტებისთვის დახმარების გაწევა;

ვ) სხვა პირის საგამოცდო სესიაზე შეყვანის მცდელობა;

ზ) სტუდენტის მაიდენტიფიცირებელი სტუდენტური ბარათის გაყალბება ან სხვა სტუდენტის ბარათის გამოყენება ან საკუთარი ბარათის სხვა პირისთვის გადაცემა ამ მიზნით;

თ) სასემინარო და საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაზე ან შეფასებაზე ზემოქმედების სხვაგვარი მცდელობა;

ი) ინფორმაციის გაყალბება და მისი მცდელობა.

5. პლაგიატი არის აკადემიური არაკეთილსინდისიერება, რაც გამოიხატება საკუთარი ნაშრომის ნაწილად სხვა ავტორის ნამუშევრის გამოყენებასა და ნაშრომის ორიგინალობასთან დაკავშირებით არასწორი/ცრუ წარმოდგენის შექმნაში.

5.1. პლაგიატის სახეები:

ა) პირდაპირი პლაგიატი;

ბ) თვით - პლაგიატი;

გ) მოზაიკური პლაგიატი;

დ) შემთხვევითი პლაგიატი.

5.2. წინამდებარე მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პლაგიატი შესაძლოა გამოვლინდეს შემდეგი ფორმებით:

ა) სტუდენტის მიერ განზრახ სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;

ბ) საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევრის ან მისი ნაწილის წარდგენა;

გ) სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;

დ) წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სიტყვასიტყვითი ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე, სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე.

მუხლი 7. სტუდენტისთვის შეუფერებელი ქცევა

1. დაუშვებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ბემოქმედების ქვეშ ყოფნა.

2. დაუშვებელია უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება, გარდა სტუდენტების მონაწილეობით ორგანიზებული ოფიციალური ღონისძიებებისა, ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ფარგლებში.

3. დაუშვებელია უნივერსიტეტის შენობაში თამბაქოსა და ელექტრონული სიგარეტის მოწევა

4. დაუშვებელია საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრის მიერ ნებისმიერი წევრის სიტყვიერი თუ

ფიზიკური შეურაცხყოფა.

5. დაუშვებელია საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განზრახ დაზიანება,

6. დაუშვებელია:

ა) სხვა სტუდენტზე უკანონო გეწოლა;

ბ) შეურაცხმყოფელი საუბარი ან შეუფერებელი სიტყვებისა და ჟარგონების გამოყენება;

გ) საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრისგან მატერიალური სახის ნახალისების მიღება ან შეთავაზება;

დ) სტუდენტური ბარათის, ასევე საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის სხვა პირებისთვის გადაცემა;

მუხლი 8. სტუდენტებთან ურთიერთობა

1. სხვა სტუდენტებთან ურთიერთობისას სტუდენტი უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი პრინციპებით:

ა) ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ) არ უნდა ითხოვდეს სხვა სტუდენტებისგან ისეთი დახმარების განწევას, რომელიც სცდება აკადემიური პატიოსნებისა და სასწავლო კუსის ფარგლებში მისთვის დაკისრებული დავალების მოთხოვნებს;

გ) არ უნდა უწევდეს სხვა სტუდენტებს ისეთი სახის დახმარებას, რომელიც სცდება აკადემიური პატიოსნებისა და სასწავლო კუსის ფარგლებში მისთვის დაკისრებული დავალების მოთხოვნებს

მუხლი 9. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. სტუდენტების აკადემიური და დისციპლინარული ინფორმაციის გახმაურება, მათ შორის სხვა სტუდენტებისთვის, ასევე სტუდენტის ოჯახის წევრებისთვის სტუდენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

2. სტუდენტის მიერ გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

3. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ ინახება განცალკევებულად.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევისთვის

1. წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ეთიკისა და ქცევის წესების დამკვიდრება უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ამოცანას წარმოადგენს. უნივერსიტეტი მიმართულია, აღნიშნული წესების დამკვიდრება საუნივერსიტეტო საზოგადოების თვითშეგნების ამაღლების გზით იქნას უზრუნველყოფილი.

2. ამასთან, აღნიშნული წესის დარღვევის გამო უნივერსიტეტის ინტერესებისა ან საუნივერსიტეტო საზოგადოების ნებისმიერი წევრის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები დამრღვევის მიმართ.

3. სტუდენტური ეთიკის დარღვევისთვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები

ა) შენიშვნის გამოცხადება;

ბ) გაფრთხილების მიცემა;

გ) სასწავლო კურსის კომპონენტის გაუქმება;

დ) სასწავლო კურსში მიღწეული შედეგების გაუქმება;

ე) საუნივერსიტეტო ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების შეჩერება;

ვ) სასწავლო პროცესისგან დროებითი ჩამოშორება;

8) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

4. შენიშვნის გამოცხადება და გაფრთხილების მიცემა, როგორც დისციპლინარული პასუხისმგებლობის ყველაზე მსუბუქი ფორმა, გამოიყენება სტუდენტური ეთიკის წესების შედარებით მსუბუქ დარღვევასთან მიმართებით.

5. სასწავლო კურსის კომპონენტის ან მთლიანად სასწავლო კურსის გაუქმება, აგრეთვე საუნივერსიტეტო ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების გაუქმება, დასაშვებია მხოლოდ აკადემიურ პატიოსნების დარღვევასთან დაკავშირებული დისციპლინარული გადაცდომისას, იმ შემთხვევაში, თუ ამ გადაცდომის შედეგად სტუდენტმა მოახდინა ან ცდილობდა მოეხდინა კონკრეტული კურსის/კომპონენტის შეფასებაზე გეგავლენა. ამ შემთხვევაში დასაშვებია ერთზე მეტი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება.

6. სასწავლო პროცესისგან დროებით ჩამოშორება, დასაშვებია გამოყენებული იქნას, როგორც დროებითი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ფორმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ გრძელდება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევა, ან აღნიშნული ზომა, შესაძლო სამომავლო დარღვევის თავიდან აცილების თანაბომიერი და აუცილებელი საშუალებაა.

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინარული პასუხისმგებლობის უკიდურესი ფორმა, დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის ნორმების ძალზედ უხეში დარღვევის შემთხვევაში ან მძიმე დარღვევის რეციდივის შემთხვევაში.

მუხლი 11. დისციპლინარული წარმოების ჩატარების პრინციპები

1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევებში ობიექტური და სამართლიანი პროცედურის გზით.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის,

საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გამოიყენოს სტუდენტის სასწავლო პროცესისგან ჩამოშორების უფლებამოსილება.

მუხლი 12. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამტარებელი ორგანოები

1. სტუდენტისთვის შენიშვნის მიცემას უფლებამოსილება, აქვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის იმ სტრუქტურული ერთეულის უფროსს, რომელმაც დააფიქსირა სტუდენტის ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევა

2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტური ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტისთვის შენიშვნის მიცემის უფლებამოსილება, შესაბამისი აკადემიური პერსონალის შუამდგომლობით, აქვს უნივერსიტეტის სკოლის დეკანს

3. სტუდენტისთვის გაფრთხილების მიცემის უფლებამოსილება, აქვს უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის/ფაკულტეტის მომართვის საფუძველზე

4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოებას, გარდა შენიშვნის ან გაფრთხილების მიცემისა, ახორციელებს უნივერსიტეტის დროებითი კოლეგიური ორგანო -

დისციპლინარულ საკითხთა კომისია

5. დისციპლინარულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის წარმომადგენელი;

გ) სტუდენტური თვითმართვლობის წარმომადგენელი.

მუხლი 13. სტუდენტის უფლებების დაცვის მექანიზმები დისციპლინარული წარმოების დროს

1. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
 - ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
 - გ) მიაწოდოს საკითხის განმხილველი კომისიის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
 - დ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
 - ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროდ და განსაზღვროს პირები, რომელთა სხდომაზე მონაწილეობა მიაჩნია მართებულიად.
2. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს უნივერსიტეტის მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.
13. ყველა სადაო ფაქტი და მტკიცებულება განიმარტება სტუდენტის სასარგებლოდ

მუხლი 14. დისციპლინარული წარმოების პროცედურა

1. კოდექსის დარღვევაში ეჭვმიტანილ პირს ეცნობება მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის პროცედურის შესახებ, ასევე ეცნობება დისციპლინარულ საკითხთა კომისიის სხდომის დრო და ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მისი უფლებები.
2. სხდომის თარიღი უნდა ჩაინიშნოს დისციპლინარული დევნის დაწყებიდან არა უადრეს 7 დღისა, რათა სტუდენტს საკმარისი დრო ჰქონდეს საკუთარი პოზიციის მოსამზადებლად.

3. დისციპლინარული კომისიის სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარე გააცნობს სტუდენტს საქმის ვითარებას და საქმის გარშემო არსებულ მტკიცებულებებს. კომისია მსჯელობს სტუდენტის გადაცდომის სიმძიმეზე, რის შემდეგ სიტყვა ეძლევა სტუდენტს.
4. სტუდენტი უფლებამოსილია დაეთანხმოს კომისიის პოზიციას, დააფიქსიროს საკუთარი შეხედულება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ან დასაბუთებული უარი თქვას გადაცდომის აღიარებაზე და დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება.
5. სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს სხდომის გადადება და დამატებითი მომზადება საკუთარი პოზიციის წარმოსაჩინად.
6. გადანყვეტილება სტუდენტისთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ უნდა იქნეს მიღებული ერთხმად.
7. გადანყვეტილება ეცნობება სტუდენტს და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. გადანყვეტილების მიღებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ, თუ სტუდენტის მიერ არ გასაჩივრდა კომისიის გადანყვეტილება რექტორი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) კომისიის მიერ მიღებული გადანყვეტილების აღსრულების მიზნით.
8. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პროცედურით იმართება მოსმენა სტუდენტის საჩივრის შემთხვევაში, ადმინისტრაციის ქმედების თუ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრებასთან მიმართებით.

მუხლი 15. აპელაცია

1. დისციპლინარული კომისიის გადანყვეტილების განხორციელება 7 დღის ვადაში სტუდენტს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო განაცხადი, დისციპლინარული კომისიის გადანყვეტილებაზე
2. სააპელაციო განაცხადი შეიძლება ემყარებოდეს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას ან იმ გარემოებას, რომ დისციპლინარული კომისიის მიერ არ მომხდარა ობიექტური გადანყვეტილების დადგენა

3. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი მიუთითებს კომისიის არაობიექტურობაზე, აპელაციის განხილვაში მონაწილეობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სკოლის სხვა წარმომადგენლები.

4. სააპელაციო განხილვაზე კომისია უფლებამოსილია ძალაში დატოვოს ძველი გადაწყვეტილება ან შეამსუბუქოს ან გააუქმოს პირველი გადაწყვეტილებით დაკისრებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა.

5. სააპელაციო განხილვისას კომისია არ არის უფლებამოსილი დაამძიმოს მიღებული გადაწყვეტილება

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და წარედგინება რექტორს ბრძანებით დასამტკიცებლად

მუხლი 16. დისციპლინარული სახდელის ძალაში შესვლა

1. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (სახდელი) ძალაში შედის კომისიის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანების გამოცემისთანავე.

2. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე სტუდენტთა ეთიკის კოდექსს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით, აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

2. წინამდებარე ეთიკის კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მისი დამტკიცების წესის ანალოგიურად.